„ვამტკიცებ“:
შპს „თელმიკო“-ს საოპერაციო დირექტორი
ს. ბღლუშკინი
„___“ _____ 2026წ.

ტექნიკური დავალება
შპს „თელმიკო“-ს შესყიდვაზე
№ 683.26.00118 „ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირის არხი DarkFiber“
2026 წლის შწკპ

1. შესასყიდი მომსახურებს მოკლე აღწერა

1.1. შესასყიდი მომსახურების აღწერა

შესყიდვის მიზანია შპს „თელმიკო“-ს ორი გეორგაფიული ლოკაციის (წერტილების) დაკავშირება ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკომუნიკაციო DarkFiber არხის მეშვეობით.

1.2. მომსახურების მიწოდების ვადები

ინსტალაცია: მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუმეტე 60 კალენდარული დღისა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკომუნიკაციო არხი DarkFiber-ით სარგებლობა: ინსტალაციის დასრულებიდან 1 წლის ვადით, ხელშეკრულების პროლონგაციის შესაძლებლობით იმავე პირობებით, ხელშეკრულების ყოველი ვადის ამოწურვის შემდგომ.

2. მოთხოვნები მომსახურების მიმართ

2.1. დაკავშირების წერილები:

- წერტილი A - ქ. თბილისი, ოთარ ჩხეიძის N10;
- წერტილი B - ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის N2.

2.2. რაოდენობა (წვერი) - 1(ერთი).

2.3. გამტარუნარიანობა: მინიმუმ 10 გიგაბიტი/წამში (10 Gbps).

2.4. ინსტალაციის სამუშაოები: მომწოდებელმა ინსტალაცია უნდა განხორციელოს 2.1. პუნქტში მოცემულ ლოკაციებზე და რაც გულისხმობს ყველა აუცილებელი სამუშაოებითა და მოწყობილობით უზრუნველყოფას, მათ შორის DarkFiber-ის წვერების დაკავშირებას შპს „თელმიკო“-ს ქსელურ მოწყობილობებთან შესაბამისი გამტარუნარიანობის SFP მოდულებით (მინიმუმ 10 გიგაბიტი/წამში (10 Gbps)).

2.5 შპს „თელმიკო“-ს ორი გეოგრაფიული ლოკაციის (წერტილის) ოპტიკურ-ბოჭკოვანი DarkFiber არხით დაკავშირება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მიწისქვეშა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის (ჭების) გამოყენებით. საჰაერო კომუნიკაციის გამოყენებით სრული ან/და ნაწილობრივი დაკავშირება არ განიხილება.

3. მოთხოვნები ანგარიშსწორების მიმართ

ინსტალაციის ერთჯერადი ღირებულების გადახდა განხორციელდება მომსახურების პირველი თვის საფასურთან ერთად.

ყოველთვიური მომსახურების საფასურის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად, უნაღდო ფორმით, თანხის გადარიცხვის გზით მომწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, მომსახურებების შესახებ წარდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე და სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე, ხოლო თუ გადახდის თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, გადახდა ხორციელდება მომდევნო პირველივე სამუშაო დღეს.

4. მოთხოვნები მომწოდებლების მიმართ

მომწოდებელი უნდა იყოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ავტორიზირებული ოპერატორი.

5. ხელშეკრულების პროექტის გადახედვის შესაძლებლობა

ხელშეკრულების პროექტის მიმართ უთანხმოების არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა მომწოდებელმა შეავსოს ხელშეკრულების პროექტის მიმართ უთანხმოებების ოქმი (ფორმა №11), რაც წარმოადგენს ხელშეკრულების პროექტის გადახედვის შესაძლებლობას.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ვლადიმერ რევიშვილი - საკონტაქტო ტელეფონი: +995 599 874 540

შეთანხმებულია:

შპს „თელმიკო“-ს ინფორმაციული
ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი ვ.რევიშვილი

შპს „თელმიკო“-ს ტექნიკური მხარდაჭერისა
ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელი გ. ძიმისტარიშვილი